

პირველადი ჯანდაცვის სერვისის ტელემედიცინის საშუალებით
განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეების კვლევა
საქართველოში - პირველადი ჯანდაცვის სექტორის მზაობა
ინსტიტუციურ დონეზე შეფასებით

მაგისტრი საბა ჭავჭავაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის
პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024 წელი

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

საბა ჭავჭავაძე

ს. ჭავჭავაძე 2024 წელი

აბსტრაქტი

ტელემედიცინა არის ჩვეულებრივი მედიცინა, რომელიც ადამიანებს მიეწოდებათ თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ 1978 წელს აღმა ატას კონგრესზე გამოაცხადა პირველადი ჯანდაცვა პრიორიტეტად. საქართველო ამ კონგრესის სულისკვეთებას სრულიად არის შეერთებული. მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოშიც ტექნოლოგიების როლი იზრდება. სამედიცინო სფეროში ტექნოლოგიები და ტელემედიცინა წლიდან წლამდე უფრო და უფრო აქტუალურია. ცხოვრების ტემპი მუდმივად მზარდია, შესაბამისად, დისტანციურად მიღებული სამედიცინო სერვისების როლი უფრო მნიშვნელოვანი ხდება ვიდრე უწინ. 2020 წლიდან კორონა ვირუსის გლობალური პანდემიის პერიოდიდან ტელემედიცინა პირველადი ჯანდაცვის სერვისის მნიშვნელოვანი მიმწოდებელი გახდა.

სამაგისტრო კვლევის მიზანია გამოვლინდეს ტელემედიცინის საშუალებით პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეები საქართველოში და შეფასდეს ჯანდაცვის სექტორის ინსტიტუციური მზაობა შესაბამისად, ჩატარდა თვისებრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ინტერვიუების მეთოდით გამოიკითხა სამედიცინო, ტელემედიცინის დარგის ექსპერტები, ვებდეველოპერები და ჯანდაცვის მენეჯერები. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა იქნა 42 სამეცნიერო ნაშრომი Pubmed-ის პორტალიდან.

ჯანდაცვის ექსპერტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ ტელემედიცინის სერვისის ეფექტური მიწოდება უზშირესად საჭიროებს ექიმების მცირე, მაგრამ ტექნიკური უნარებით აღჭურვილ ჯგუფს. ქვეყანაში მოქმედი ექიმების 20% საკმარისია ტელემედიცინის სერვისის წარმოებისთვის. განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობა ახალი თაობის ექიმების მხრივ არის. ვებ დეველოპერების განცხადებით ტექნიკური კუთხით საკმარისია, აპრობირებული და ყოველდღიურად გამოყენებადი ტექნიკის (სმარტფონი, კომპიუტერი, პულსოქსიმეტრი), ინტერნეტისა და აპლიკაციების (Viber, whatsapp, zoom და ა.შ.)

ცოდნა, რაც საქართველოში არსებობს. არ არის საჭირო ახალი აპლიკაციების დაწერა, თუმცა თუ ეს მოხდება არსებული გახსნილი კოდის მქონე აპლიკაციების (მაგალითად აპლიკაცია სიგნალი) გამოყენებაა შესაძლებელი. ჯანდაცვის მენეჯერების განცხადებით, საქართველოში არის სხვადასხვა კერძო კლინიკები და კორპორაციები, რომელთაც აქვთ პირველადი ჯანდაცვის რგოლში ტელემედიცინის იმპლემენტაციის ინსტიტუციური შესაძლებლობა. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და კერძო სადაზღვევო სისტემას შეუძლია ხელი შეუწყოს ამ პროცესს. შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობას აქვს მზაობა მიიღოს ტელემედიცინის სერვისი. მათ აქვთ კორონა ვირუსის პანდემიის გამო გამოცდილება. მოსახლეობის ნაწილში ტელემედიცინის სერვისი გამოყენების განსაკუთრებით მაღალი მზაობა და ინტერესია. პირველადი ჯანდაცვის სერვისის ტელემედიცინის საშუალებით მიწოდების ინსტიტუციური მზაობა საქართველოში არსებობს. რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა ჯანდაცვის პოლიტიკის ნების გამოვლენა რომ ტელემედიცინის სერვისის იმპლემენტაცია მოხდეს. საჭიროა ამ თემის გარშემო კონსენსუსის გაფართოება და სტატუს ქვოს შეცვლა. ექიმების მოკლე ვადაში გადამზადება.

Abstract

Telemedicine is conventional medicine delivered to people through modern communication technologies. The World Health Organization declared primary health care a priority at the Alma Ata Congress in 1978. Georgia is fully aligned with the spirit of this Congress. The role of technology is growing globally and, accordingly, in Georgia as well. Technologies and telemedicine in the medical field are becoming increasingly relevant each year. As the pace of life continues to accelerate, the role of remote medical services is becoming more important than ever. Since 2020, due to the global COVID-19 pandemic, telemedicine has become a vital provider of primary care services.

The aim of this master's research is to identify the difficulties related to the provision of primary health care services in Georgia through telemedicine and to evaluate the institutional readiness of the health sector. To achieve this, a qualitative study was conducted. Within the framework of the qualitative research, experts in the fields of medicine, telemedicine, web development, and healthcare management were interviewed. A total of 42 scientific papers from the PubMed portal were analyzed as part of the research. According to healthcare experts, the effective delivery of telemedicine services often requires a small but technically skilled team of doctors. Twenty percent of doctors working in the country are sufficient to provide telemedicine services. There is a particularly great opportunity for the new generation of doctors. From a technical point of view, web developers state that it is sufficient to know the commonly used and tested equipment (smartphone, computer, pulse oximeter), internet, and applications (Viber, WhatsApp, Zoom, etc.) that are available in Georgia. There is no need to develop new applications, but if necessary, existing open-source applications (such as AppSignal) can be utilized.

According to healthcare managers, various private clinics and corporations in Georgia have the institutional capacity to implement telemedicine in primary healthcare. The Ministry of Health Protection of Georgia and the private insurance system can support this process. It can be said that the population is ready to receive telemedicine services, having gained

experience due to the COVID-19 pandemic. There is particularly high willingness and interest in using telemedicine services among the population. Institutional readiness to provide primary health care services via telemedicine exists in Georgia.

As a recommendation, it is necessary to demonstrate the will of health policy to implement telemedicine services. There is a need to expand consensus around this topic and change the status quo. Additionally, doctors should receive training in a short period of time.